ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48.48220919
თარიღი:01/04/2022

პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა'' პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" პუნქტის ,,ა.თ." ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე და 28-ე მუხლების, ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების, ,,პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №218 დადგენილებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დანართი თან ერთვის).

2.ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი